ნესტან სულავა
ასოცირებული პროფესორი, თსუ
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წმ. გრიგოლ ხანცთელის სარწმუნოებრივი ღვაწლი და სახელმწიფოებრივი ხედვა

ქართულ ჰაგიოგრაფიაში წარმოსახულ ქართველ წმინდანთა ხატ-სახეებს ქრისტიანული მრწამსი და ეროვნული თვითშეგნება წარმართავს. იშვიათია ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელშიც ეროვნულ თვითშეგნებასა და მრწამსზე არ იყოს ყურადღება გამახვილებული, რითაც მრავალეთნოსიანი ბიზანტიის იმპერიის წიაღში შექმნილი ჰაგიოგრაფიისაგან განსხვავდება. წმ. გრიგოლ ხანცთელის საეკლესიო-საღვთისმეტყველო მოღვაწეობა ქრისტიანული მსოფლმხედველობის, ლიტურგიული ცნობიერებისა და სარწმუნოებრივ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვის შერწყმით ჩამოყალიბდა. მისი ღვაწლი და დამსახურება ქრისტიანობის განმტკიცებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის იდეოლოგიური საფუძვლის მომზადების საქმეში ეპოქალურია, რადგან იგი, უწინარეს ყოვლისა, სასულიერო მოღვაწეა, ქართული ეკლესიის გაძლიერებასა და განმტკიცებას ემსახურებოდა, ქრისტიანულ მრწამსს თანმიმდევრულად ავითარებდა, ამავე დროს, საჭიროებისას, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც საჭირო და აუცილებელ სათქმელს ამბობდა. მთელი ძალისხმევა ქვეყნის სულიერი ცხოვრების მოწესრიგებისკენ მიმართა, რასაც მის მიერ შედგენილი წესდება და საწელიწდო იადგარი მოწმობს.

წმ. გრიგოლ ხანცთელმა, მოციქულთა მსგავსად, ერის სულიერ განათლებაზე იზრუნა და მისმა სიბრძნემ საუკუნეების შემდეგ გამოიღო კეთილი ნაყოფი, მან ქართული ეკლესიის თვითმყოფადობის საფუძველი მოამზადა საკანონმდებლო და საღვთისმსახურო წიგნების შექმნით, რაც იერუსალიმურ-საბაწმიდურ და კონსტანტინოპოლურ სამონასტრო წეს-განგებებს ემყარებოდა. წმ. გრიგოლ ხანცთელის ღვაწლი სრულიად საქართველოს გადასწვდა, როგორც სარწმუნოებრივი, ისე იდეოლოგიურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, რადგან სახელმწიფოს სულიერების, ერთიანობის, დამოუკიდებლობის საყრდენი მონასტერი და სასულიერო წოდება, ხოლო ეკლესიის სიმტკიცისა და წინსვლის გარანტი სახელმწიფო იყო; სასულიერონი და საერონი ქრისტიანულ მსოფლმხედველობას და სახელმწიფოებრივ ხედვას ერთად, ურთიერთშეთანხმებით წარმართავდნენ.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა წმ. გრიგოლის აფხაზეთში ყოფნის ეპიზოდი, რომელშიც სარწმუნოებრივი მსოფლხედვის მიღმა ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვითარება იკითხება. ამ კონტექსტშია განსახილველი და გასაანალიზებელი წმ. გრიგოლის სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი ხედვის საფუძველზე აფხაზეთში ეკლესიის აშენების შესახებ აფხაზთა მეფისათვის ნათქვამი უარი, რის მიზეზიც ორი რამ უნდა იყოს: 1. ღვთის ნებით არაა განსაზღვრული, რომ ამ მხარეში გრიგოლის მიერ დრომდე არ უნდა აიგოს მონასტერი, ე. ი. ვიდრე საამისო ჟამი არ მოაწევს; ამიტომ წმ. გრიგოლ ხანცთელმა მონასტრისათვის შესაფერისი გეოგრაფიული სივრცე, ტაძრის ასაშენებელი ადგილი ვერ შეარჩია; ამის მიზეზად წმ. გრიგოლ ხანცთელი ქვეყნის ადგილმდებარეობას, ბუნებას მიიჩნევს; გავიხსენოთ მისი სიტყვები, რომლის მიხედვით სასულიერო პირისათვის საჭიროა შესაფერისი ადგილი, რათა მარხვა შეძლოს (ძეგლები, 1963/1964: 268); თხზულებაში ნათქვამია, რომ მონაზონთა ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის დასავლეთ საქართველოს ბუნება შესაფერისი არაა. წმინდა მამის პასუხით გულდაწყვეტილმა და შეწუხებულმა აფხაზთა მეფემ ეს მიზეზი არ შეიწყნარა, არაა სამართლიანი ამ ქვეყნის უგულებელყოფაო (ძეგლები, 1963/1964:268); მეფეს უნდოდა წმინდა მამათა ღვაწლის მოზიარედ გაეხადა აფხაზეთი. წმ. გრიგოლის პასუხში მეფე დემეტრეს მიმართ აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსი გამოკვეთილად არ ჩანს, მეტიც, წმინდა მამა საერთოდ არ ახსენებს აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკურ მდგომარეობას; ჰაგიოგრაფი მწერალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ვითარებაზე ყურადღებას არ ამახვილებს, რადგან ეს არაა ჰაგიოგრაფიის მიზანი. 2. მიუხედავად ამისა, წმ. გრიგოლის მიერ ეკლესიის აგებაზე უარის თქმას მეორე მიზეზიც აქვს; დასავლეთ საქართველოს, საზოგადოდ, მთელი საქართველოს („ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების"...), პოლიტიკური მდგომარეობისადმი ანალიტიკური მიდგომა იყო საჭირო, რადგან იმ დროისათვის, IX საუკუნის I ნახევარში აფხაზეთი ბიზანტიაზე დამოკიდებული ქვეყანა იყო. ამიტომაც, მისი შეხედულებით, განგებით არ იყო განსაზღვრული, რომ ამ მხარეში გრიგოლს მონასტერი აეგო.

წმ. გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობის ეპოქის ვითარების ფონზე მწერლის სიტყვებს მიღმა საქართველოს მდგომარეობაა მოსააზრებელი და დასავლეთ საქართველოს, საზოგადოდ კი, მთელი საქართველოს, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის მიუკერძოებელი შეფასებაა საჭირო; იმ დროისათვის, როდესაც წმ. გრიგოლ ხანცთელი აფხაზეთში ჩავიდა, IX საუკუნის დასაწყისში, ისტორიული წყაროების მონაცემებით, აფხაზეთი ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერიის მფარველობაში იმყოფებოდა. ამას ისიც მოწმობს, რომ VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე ადრე დასავლეთ საქართველოში, როგორც ამას ეპიგრაფიკის სპეციალისტები მიუთითებენ, ქართულენოვანი წარწერა არ დასტურდება; კერძოდ, ვ. სილოგავას აზრით, ქუთაისის საყდრის ანტეფიქსის წარწერა თარიღდება VIII-IXსს-ით. იგია უძველესი ქართული ასომთავრული წარწერა დასავლეთ საქართველოდან, უბისის ტაძრის თავდაპირველ წარწერებსა და მსიგხუას ეკლესიის ანტეფიქსების წარწერებთან ერთად. ამათზე ძველი ქართული ასომთავრული წარწერები დასავლეთ საქართველოში არცაა მოსალოდნელი (სილოგავა, 2009: 78-79). მკვლევარს ის მიზეზები არ აუხსნია, თუ რამ გამოიწვია დასავლეთ საქართველოში ქართული წარწერების არარსებობა.

ამიტომ ვფიქრობ, რომ გიორგი მერჩულის მიერ წარმოსახულ ამ ეპიზოდში სარწმუნოებრივი მსოფლხედვის მიღმა ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვითარებაც იკითხება. წმ. გრიგოლ ხანცთელის მიერ აფხაზეთში ეკლესიის აგებას ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გართულება შეიძლება მოჰყოლოდა, ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის წინააღმდეგობა წარმოქმნილიყო, საქართველოს იმდროინდელი „სენიორალური" (ნ. ბერძენიშვილი) მოწყობის კვალობაზე არსებულ სხვადასხვა მხარეებს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ საბოლოოდ კოორდინირებული არ იყო. ამიტომ არის საფიქრებელი, რომ სარწმუნოებრივთან ერთად, ამ ეპიზოდში წმ. გრიგოლ ხანცთელის სახელმწიფოებრივმა ხედვამ და ალღოიანობამ, მოსალოდნელ მოვლენათა წინასწარჭვრეტამ განაპირობა მისი უარი აფხაზეთის სამეფოში ეკლესიის აგების შესახებ, რითაც ჰაგიოგრაფმა მწერალმა წმინდანი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებადაც წარმოგვიდგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ერის ისტორიაში ქართველ სასულიერო პირთა, განსაკუთრებით კათოლიკოს-პატრიარქთა და გამორჩეული როლის მქონე წმინდა მამათა სახელმწიფოებრივ დონეზე აზროვნების არაერთი მაგალითი გვაქვს. აფხაზთა მეფის სიტყვებმა კი წმ. გრიგოლ ხანცთელს ქვეყნის განაპირას ააგებინა უბისის მონასტერი, რათა ყოველმხრივ ნაწილეულ გამხდარიყო დასავლეთ საქართველო სრულიად საქართველოში მიმდინარე სულიერი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, მასაც მონაწილეობა მიეღო ტაო-კლარჯეთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის საქმიანობაში, რასაც X საუკუნის ქართველ მწერალთა, კერძოდ, ჰიმნოგრაფთა, წვლილიც (იოანე მინჩხი, სტეფანე ჭყონდიდელი-სანანოისძე) მოწმობს. აფხაზეთის მთელი საქართველოს „ნაწილეულ ყოფის" მოწმობად წმ. გრიგოლის მიერ უბისის მონასტრის წინამძღვრისათვის, იერუსალიმიდან მოსული მოხუცებული ილარიონისათვის წმინდა წიგნების დატოვებაც უნდა ვიგულისხმოთ, ე. ი. წმ. გრიგოლმა მას სულიერი საგანძური და ღვთისმიერი კურთხევა დაუტოვა.

წმ. გრიგოლმა თავისი მოწაფეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაანაწილა, რასაც ორგვარი ღირებულება და მისია ჰქონდა: 1. სულიერი ცხოვრების განვითარება და გავრცელება საქართველოს ყველა მხარეში; ბიბლიურ-ევანგელური ცნობიერების განვითარების საფესურების გათვალისწინებით, მას მოციქულებრივი მოღვაწეობის ეტაპი შეესაბამება არქეტიპად, როდესაც ქრისტეს ამაღლებისა და სულთმოფენობის შემდეგ მოციქულები იმდროინდელი მსოფლიოს ყოველი კუთხით გაეშურნენ ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად, რაც ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სახისმეტყველებით თვალსაზრისს წარმოსახავს; 2. სასულიერო პირები საქვეყნო საქმესაც ემსახურებოდნენ, რასაც თხზულებაში დამოწმებული რამდენიმე ეპიზოდი, მათ შორის ზემოთ განხილული ეპიზოდიც, მოწმობს.

ამრიგად, წმ. გრიგოლ ხანცთელის ხანგრძლივი მოღვაწეობის ერთ-ერთი მიზანი იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ჰარმონიის მიღწევა, რადგან იცოდა, რომ მხოლოდ ეკლესიას არ ძალუძდა ქართლის „ქალაქყოფა". აქ სასულიეროთა და ერისკაცთა ერთიანობა იყო საჭირო. წმ. გრიგოლ ხანცთელმა თავისი ღვაწლით საეკლესიო საქმეები მოაწესრიგა, რასაც სახელმწიფოებრივი დატვირთვაც ჰქონდა: წმ. გრიგოლმა საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ქართული ეკლესიის როლი და ადგილი განამტკიცა, საქართველოს ერთიანობის საფუძველი მოამზადა, ხოლო მისი

ღვაწლის შეფასება ჰაგიოგრაფის მიერ გამოვლინდა მის მიმართ გამოყენებულ პარაბოლაში „ზეციისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სილოგავა, 2009: ვ. სილოგავა, „ქუთაისის საყდრის" ანტეფიქსი და მისი წარწერა", *გულანი*, 3(7), 2009.
2. ძეგლები, 1963-1964: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I*, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963-1964.

Nestan Sulava

Associate Professor, TSU

Professor, Samtskhe-Javakheti State University

Religious and State Vision of Saint Grigol Khandzteli

The images of Georgian saints depicted in Georgian hymnography are guided by Christian vision and strong sense of national identity. It can hardly be found a Georgian hagiographic work with no particular accent on national identity and outlook, which differentiates Georgian hagiography from the one created in the Byzantine multi-ethnic setting. The religious works of St. Grigol Khandzteli was created at the conjunction of the sense of the Christian identity, liturgical awareness and state vision. His contribution to strengthening Christianity and searching for ideological background of Georgian state is enormous since Khandzteli first of all is a religious statesman, working for consolidating Georgian Church, making the Christian idea stronger, articulating at the same time Georgian national interests based on the relevant needs and challenges. He directed his efforts to organizing religious life of Georgians that is manifested by his works a charter and annual Iadgari.

St. Grigol Khandzeli, like the apostles, strived for spiritual development of Georgian people and his wisdom gave results after centuries have passed. He consolidated grounds for articulating the self-identity of Georgian church by creating regulatory and religious books based on Jerusalem-Sabatsminda and Constantinople monastery rules and regulations. The work of St. Grigol Khandzteli extended to whole Georgia in both religious and ideological terms since the Church and religious rank was the basis of spiritual integrity and sovereignty of the state while the state in turn was the guarantee of advancement and strength of the Church. Both clerical and secular parts of population used to keep up the Christian vision and the state ideology together, upon mutual agreement.

The episode of St. Grigol's being in Abkhazia is noteworthy to this end; having, apart from religious aspect, a political meaning as well. It is in this very context that we have to interpret Saint Grigol's refusal to Abkhaz King on the request by the latter to build a church in Abkhazia. This refusal can be explained by the following two reasons: 1. It was not a God's will

to build a church by Grigol on this land before due, i.e. before the time comes; that was the reason why St. Grigol Khandzteli could not find a proper place for building a church. The Saint blamed the geographical landscape, local nature for that according to him, the clergyman needs a proper place to keep a fast (Manuscripts, 1963/1964: 268). But, according to the work of the Saint, the nature of Western Georgia is not suitable for monks to maintain their way of life. The Abkhaz King, saddened by Saint's refusal did not accept the reason given by the Saint, saying in response that it was not fair to neglect this country like that (Manuscripts, 1963/1964:268). The Abkhaz King wanted to make Abkhazia the land which would host the holy fathers and share the blessing of their deeds. The issue of the political state of Abkhazia was not clearly seen in St. Grigol's answer to the King Demetre; moreover, the Saint did not at all mention the issue of Abkhazia's being a part of whole Georgia that is definitely not the business of hagiography either. 2 Yet, nevertheless, the refusal of St. Grigol to build church in Abkhazia seems to have another pretext: Political situation in Western Georgia (or in the whole country) required an analytical approach to the issue since Georgia at that time (1st half of IX C.) was dependent on Byzantine Empire. That is why Saint Grigol thought that it was not a God's will that he (Grigol) should have built a church there.

Behind Giorgi Merchule's words the reader should objectively consider the state of Georgia at that time, and more particularly, the political state of Western Georgia. By the time when St. Grigol went to Abkhazia, this region was still under the patronage of Byzantine Empire. This is confirmed by the fact no Georgian inscription can be found in Western Georgia until late VIII – early IX CC, according to the epigraphy specialists. Namely, according to V. Silogava, the inscription found on Kutaisi church antefix inscriptions is dated VIII-IX CC. This is the oldest Georgian inscription from Western Georgia made in 'Asomtravruli' script along with the initial inscriptions from Ubisa monastery and antefix inscriptions from Msikhgua church. The inscriptions older than those cannot be expected to be found in Western Georgia [Silogava, 2009: 78-79]. The researcher does not give reasons of absence of Georgian inscriptions in Western Georgia though.

Therefore, I suppose that in this episode described by Giorgi Merchule, apart from religious vision, we can also perceive the political situation in the country. Building church in Abkhazia by St. Grigol Khandzteli could cause deterioration of political situation and creating tension between Byzantine Empire and Georgia.

Given the "seniorial" (N. Berdzenishvili) division of Georgia of those times, the relationship between different influential parties within the society was not entirely coordinated. That is why it can be concluded that Saint Grigol Khandzteli's state vision and insight to predict possible development of events (apart from religious mission) that was manifested in refusal to build an Orthodox Christian church in Abkhazia, represents the hagiographer Giorgi Merchule's finding of the Saint being a religious figure having political vision.

In the history of Georgia we have more than one example of prominent clergy like catalikos-patriarchs and other high-rank religious figures demonstrating political thinking. Abkhaz King's words prompted Saint Grigol Khandzteli to build church in Ubisa, at the country's periphery, in order to bring Western Georgia closer to the spiritual and political life of the whole country and include the latter into the scope of activities of Tao-Klarjeti religious

and literary school. That is confirmed by the works of X C. Georgian writers hymnographers (Ioane Minchkhi, Stepane Chkondideli-Sananoisdze). Sending religious books to the head of Ubisa monastery, aged Illarion coming from Jerusalem, was yet another manifestation of considering Abkhazia an integral part of Georgia, meaning that Saint Grigol gave his blessing and spiritual treasure to the Church and his head.

Saint Grigol sent his pupils to different parts of Georgia that had two meanings and mission: 1. Enriching and spreading the values and practice of spiritual life Georgia-wide. Taking into account the phases of development according to the bible / gospels, this corresponds to the phase of apostle's life, when apostles, after Christ's Ascension and Pentecost went to the different corners of the world to preach the Lord's teaching, that has a hypodigmal-paradigmal typological meaning; 2. Religious figures used to serve the country's secular interests as well that is confirmed by several episodes described in the work, the above-mentioned fragment being one of them.

Hence, one of the goals of Saint Grigol Khandzteli's long religious life and work was reaching harmony between state and church, since he was aware that church only could not build Kartli as a state. Consolidation of clergy and people was needed for this purpose. Saint Grigol Khandzteli, through his life and work, settled religious deeds, which had a state meaning as well: Saint Grigol consolidated the role and place of Georgian church in Georgia's political and public life and prepared grounds for Georgia's unity that was well reflected in the hagiographer's metaphor about the Saint: "the heaven's man and the angel of earth".

References:

1. სილოგავა, 2009: ვ. სილოგავა, „ქუთაისის საყდრის" ანტეფიქსი და მისი წარწერა, „გულანი", 3(7), 2009.

2. ძეგლები, 1963-1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963-1964.